წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 19 სექტემბერი 1915 წ. № 96

საქართველო

ხელის მოწერა და დარიგების განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ღოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ხარფუხის კლუბი“

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

შაბათს 19 სექტემბერს. **ქართული წარმოდგენა „პ ე პ ო“** გ. სუნდუკიანცის ცნობილი პიესა. ბაღში დაუკრავს **ორკესტრი.** წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

კვირას 20 სექტემბერს **სინემატოგრაფი.** ბაღში დაუკრავს სიმებიანი **ორკესტრი.** სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევლებოთ საძალებო და სავაჟო **ქუდები**

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო **„პუტელოკებს“ და „ცილინდრებს“.**

აგრეთვე გწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ გინვლს.

გახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და კუდს.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიანი
გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ძალაში სხვა განყოფილება არ გააჩნია

საზაფხულოდ ღია ფანჯრები სხვა განყ.

12 ენკენისთვიდან იხსნება

საქსოვის ქალთა სკოლა,

სადაც შეასწავლიან ყოველგვარ ფართლეულის (მატერიის) ქსოვას. კურსი ლიურია. თხოვნათა მიღება შეიძლება 20 ენკენისთვემდის სკოლის კანცელარიაში, იქვე მიიღება დაკვეთა ყოველნაირ მატერიისა.

მისამართი: ვერის დალმართი, № 29. (8—6)

გადაწერას საწერ მანქანის **საშვალებით და საწერ მანქანაზე**

გუშაობის სწავლებას,

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას პანტორა

ვერის დალმართი № 1

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან** და **ჭირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმი
მამულაიშვილი
(ბოლნეკისამ)

ანაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ძ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ჭირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახალდიანისა

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

ათი წელიწადი

გუშინ გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი წაბრძანდა და დასტოვა ათი წლის განმავლობაში ნაუფლი კავკასია: მიუდგომელი ისტორია გამოიკვლევს დაწვრილებით, თუ რა საარგებლობა მოუტანა გრაფმა მთელ კავკასიას საერთოდ და მის მოსახლე ცალ-ცალკე ეროვნებას. ჯერ გამომზეურებული არ არის მთელი მასალა საბოლოო მსჯავრის გამოსატანად, მაგრამ ეხლავეც შეიძლება აღნუსხვა იმ ზოგიერთი ეტაპისა, რომელიც განვლო კავკასიამ ამ ათი წლის განმავლობაში.

გრაფი მობრძანდა კავკასიაში მაშინ, როცა მთელი რუსეთი აფორიაქებული იყო შინაგანი არეულობით, ე. წ. განმათავისუფლებელ მოძრაობით და იმავე დროს იაპონიასთან ომით. ქედი მოძრაობის ძლიერი ტალღისა კავკასიაში მოეკრა და სწორედ კავკასიაში ხვდა წილად მეფის მოადგილეობა ვორონცოვ-დაშკოვს,

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისმა „ჰკვიანმა“ პოლიტიკამ სრულ სიწმინდით მიაღწია გამარჯვებას და სულ უბრალო საშუალებითაც, ისე რომ არც არაფერი დაეთმო ვისმესთვის და ტყვილი სიტყვებით კიდეც გაემაგრებინა, ე. წ. „სახელმწიფოებრივი“

პოზიციები.

საერთო სახელი რომ გამოეძებნოს მის პოლიტიკას — უნდა ვსთქვათ, რომ კავკასიელ ერებზე სამოქმედოთ სწორედ ზედგამოჭრილი იყო

პროვინცია ამოძრავდა

6 ენკენისთვეს ქ. გორში მეტად მნიშვნელოვანი თათბირი გაიმართა.

ქართლის სხვა და სხვა საკრედიტო კოოპერატივის წარმომადგენლებმა გამართეს თათბირი დღევანდელ ჩვენს ეკონომიურ საჭიროებათა შესახებ. ამ კრებას დაესწრნენ და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კახეთის კოოპერატივების წარმომადგენლებმა დ. ლუკაშვილის მეთაურობით, წვრილი კრედიტის ინსპექტორები ბ.ბ. გრიგოლია, ჩხეიძე, საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელნი, ბევრი გლეხკაცობა და სხვა დაინტერესებულნი პირნი. ამრიგად გორის თათბირმა ფართო ხასიათი მიიღო და როგორც მოსალოდნელი იყო, მისი მუშაობა საქმიან ატმოსფერაში მოეწყო.

თათბირზე გამოირკვა, რომ უმთავრესი ყურადღება ქართულ კოოპერატივებისა უნდა მიიმართოს საკვებ და სათესლე პურის დაკმაყოფილებას დამშეულ და გაჭირვებულ ქართულ პროვინციებში. გამოირკვა ისიც, რომ ეს პური უსათუოდ რუსეთიდან რაც შეიძლება მალე უნდა შემოიზიდოს, რისთვისაც დაუყოვნებლივი ზომების მიღება საჭიროდ დაინახეს. ამისათვის გორის თათბირმა აირჩია თავისი აღმასრულებელი ორგანო „ქართლის საკრედიტო კოოპერატივების ბიურო“, რომელმაც კიდეც გამოსცა შემდეგი საყურადღებო მოწოდება:

„6 ენკენისთვეს ქ. გორში მომხდარ თათბირზე 24 საკრედიტო კოოპერატივების წარმომადგენლებმა დაადგინეს შეერთებული მოქმედება აწვარმოვონ გორის საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით.

ამორჩეული ბიურო მოგმართავთ შემდეგის წინადადებით:

1) მონაწილე კოოპერატივების დავალებით ბიურომ დაიკვეთა რუსეთიდან ხორბალი, გთხოვთ დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ წერილობით ამხანაგობის ბლანკზედ გამგეობის ხელმოწერილი და დაბეჭდილი ამხანაგობის ბეჭდით, რამდენი ფუთი ხორბალი დაგჭირდებათ თქვენი რაიონისათვის. ფუთი პური დაგვიჯდება დაახლოვებით 1 მ. 50 კ.—1 მ. 60 კაპ., მოტანით თქვენგან დანიშნულ რკინის გზის სადგურამდე. დაკვეთისთანავე უნდა წარმოადგინოთ ბედერთი მეათედი თქვენ მიერ დაკვეთილ ხორბლის ღირებულობისა. ეს თანხა ჩარიცხული იქნება გორის საკრედიტო ამხანაგობაში მობარებულ ფულად (вкладъ) თქვენ სახელობაზე. მობარებულ ფულში მოგეცემათ სარგებელი 6% დღიდან თანხის მიღებისა, ვიდრე იგი გაიგზავნებოდეს რუსეთში. საბუთად მოგეცემათ ამხანაგობის მობარებულ ფულის წიგნაკი (вкладная книжка).

2) რადგან თქვენი რაიონი უზრუნველყოფილი იქნება საკვები პურით, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოუცხადოთ ხალხს, რომ სათესად ჩვეულებისამებრ.

3) თუ ვინიცობაა თქვენს რაიონში მოპოვება გასაყიდად სათესლე პური, გთხოვთ გვაცნობოთ მისი რაოდენობა და ფასი“.

ამ საქმიან და გონივრულ მოწოდებას იმედია ჩვენი კოოპერატივები უსათუოდ ყურადღებას მიაქცევენ და თავისი მონაწილეობით გააძლიერებენ საერთო მოქმედებას, რათა ქართული სოფლები შიმშილის კლანჭებს ააცდინონ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართლის ბიუროს მოწოდებას საჭირო ნდობითაც მოეკიდებიან ყველა ის ამხანაგთაგანნი, რომელთაც შეუძლიანთ ფული გამოიღონ ამ საქმისათვის. პირველი მუხლი მოწოდებისაც სწორედ იმას გვიმტკიცებს, რომ ამ საქმის წარმოება სრულ კანონიერ ფარგლებში გამოიხატება და არც ერთ ამხანაგობას არც ერთი შაური არ დაეკარგება. არა ნაკლებ საყურადღებოა მეორე და მესამე მუხლებიც; მოუსავლობით დაშინებული ხალხი ჩვეულებისამებრ ზოგიერთ კუთხეებში აღარა სთესს პურსა და ინახავს საკვებად. ეს დიდი ცოდვაა მომავლის წინაშე, მომავალ წელს ხომ ქვეყანა მართლაც მშიერი ამოსწყდა. საჭიროა ყველა კოოპერატივებმა ჩაგონონ თავის რაიონების სოფლელებს და ანუგეშონ, რომ წელს საკმაო საკვებ პურს ვიშოვნით და რომ უსათუოდ, ვისაც თესლი აქვს, თესვას შეუდგეს, და თუ ვისმეს მეტი თესლი მოეპოვება, აცნობოს ადგილობრივ კოოპერატივს, რათა ეს ზედ მეტი თესლი სხვა გაჭირვებულ ქართულ სოფლებს ზემოხსენებულ ბიუროს საშუალებით შეასყიდვინოს და მიაწოდოს.

დღევანდელი ჩვენი ხსნა მარტოდ-მარტო საერთო მუშაობაშია, ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, მხარში ამოვუდგეთ და ხელი გაუწოდოთ გაჭირვებულ ძმას. მომავალში ასეთი ძმური მოქმედება დანახარჯს ასჯერ მეტად აგვინაზღაურებს. ამ მხრივ საგულისხმიეროა და მნიშვნელოვანი გორის თათბირი. ქართული პროვინცია ამოძრავდა და ყველა ჩვენ ცენტრებში მყოფნი, მოვალენი ვართ ყოველი დახმარება აღმოვუჩინოთ ამ დაწყებასა.

როგორც გავიგეთ, ამ დიდ საქმის მოწყობის გასაადვილებლად საადგილმამულო კომისიამ კიდეც მიაშველა თავისი თანხა და ქართლის სამ საკრედიტო ამხანაგობამ (ამორჩეულს თვით ბიუროს მიერ) 21.000 მანეთის კრედიტი გაუხსნა. საჭიროა ეხლა საკმაო ვაგონების ნებართვის აღება და პურის შემოზიდვის საქმის მოწყობა.

ამ საქმეში ქართული საქველმოქმედო საზოგადოება კიდეც დახელოვნებულია და მოველით მისგან ამ მხრივ ენერგიულ დახმარებას

უცნაური ამბავი გვაცნობეს ქართლელებმა. გორის თათბირს ხვათა შორის გლეხკაცობაც დაესწრო, და თურმე როდესაც შინ დაბრუნებულან, ზოგიერთ გლეხკაცისათვის ადგილობრივ მოვახშეებს (პურით მოვაჭრე) უცემნიათ: რად ერევით ამ საქმეშიო და პურს რად იკვეთამთო. ასეთ აღვირწახსნილ ქცევას შემოხიზნულ ვაჟბატონებისას, რასაკვირველია, ადგილობრივი ჩვენი მკვიდრი მცხოვრებნი სათანადო ყურადღებას მიაქცევენ და იმედია არ დაერიდებიან საჭირო ზომების მიღებას, რათა ბოლო მოუღონ გალაღებულთა მიერ ხალხის დაშინებას.

დ. ვ—ძე.

ომის ამბები

ქურნალ-გაზეთებიდან

გერმანელების მარცხი.

გერმანელები გულახდილად აღიარებენ თავიანთ მარცხს საფრანგეთში, მაგრამ ამავე დროს უარსა ჰყოფენ, თითქოს ფრანგ-ინგლისელებს ფრონტი გაერღვიოთ.

ინგლისელთა ოპტიმიზმი.

გერმანელთა დამარცხებას დიდი სიხარულით არ მიჰგებებიან ინგლისში. Daily Nelvs“-ი ამბობს ჯერ-ჯერობით შეუძლებელია დანამდვილებით ითქვას, ეს გამარჯვება რაოდენად გავლენას იქონიებს ომის მსვლელობაზე, ან შეიძლება თუ არა ივი საერთო შეტევის დასაწყისად ჩაითვალოს.

რუსეთის ასპარეზი.

გერმანელთა მთელი ყურადღება „რეჩის აზრით“ ვილეიკის რაიონზეა მიპყრობილი, სადაც ივინი დიდძალ ჯარებს უყრიან თავს და ნელ-ნელ სამხრეთისკენ ჰწევიან. უმთავრესად უტევენ ვილეიკა-ივენცის ხაზზე. ჩრდილო-დასავლეთით აწევებიან ვილნო-მოლოდეჩნოს, ასევე დიდ ძალი ჯარები უყენიათ სამხრეთ-დასავლეთით, რომელთაც უდიდესი მოვალეობა აწევთ რუსთა ჯარების გასანადგურებლად.

ფერდინანდის საომარი გეგმა.

კომპეტენტურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ ფერდინალს ჰსურს სწრაფად დაიჭიროს ნიშ-სალონიკის რკინისგზის ნაწილი, რათა სერბია მასლოვიტოს გარეთა ქვეყნებს, რომ ვერვინ ვერ მოახერხოს სამხედრო მასალის მიწოდებას. უმთავრესად კი სერბიის განადგურება უკისრიათ თვით ავსტრო-გერმანელებს.

ინგლისი ფხიზლობს.

ინგლისი ფხიზლობს. ბულგარეთის გარშემო ატეხილმა ხმაურობამ სწრაფად აამოქმედა სერ ედუარდ გრეი, რომელიც ელჩს ელჩზე იღებს ხან საფრანგეთიდან, ხან კიდევ იტალიიდან. მათთან შეთანხმებით წინასწარვე ზომებს იღებენ თუ ვინიცობაა ბულგარეთი აქტიურ ნაბიჯს გადმოსდგამს ბრძოლის ასპარეზზე.

ბულგარეთის ფლოტი.

ბულგარეთის მთელი ფლოტი თავმოყრილია არხის ყურეში. შავ ზღვაზე ბულგარები თავიანთ ნავთსადგურებს სწრა-

ფად ამაგრებენ. ყველგან სამხედრო წესებია შემოღებული.

საბერძნეთი და რუმინია.

სოფიის კორესპონდენტი იუწყება, რომ ბულგარეთი არავითარ მტრობას არ უცხადებს საბერძნეთსა და რუმინიას. „Berl. Tag,"-ის აზრით არც თუ ესენი მტრობენ ბულგარეთს. მართალია, მეფე კონსტანტინე და საბერძნეთის გენერალური შტაბი ყოველ ზომებს იღებენ იმ შემთხვევისათვის, თუ ბულგარელები საბერძნეთის მაკედონიაში შეიჭრებიან, მაგრამ ერთიც და მეორეც თითქმის მორიგებულნი არიან ერთმანეთშიო. რაც შეეხება რუმინიას, იგი ბოლომდე სრულს ნეიტრალიტეტს დაიცავს. (ბ. გ.)

ბანკეტი.

სტამბოლში, გერმანიის საელჩოს ბანკეტზე, სადაც იყვნენ ავსტრიისა და ბულგარეთის წარმომადგენლები, გერმანია-ოსმალეთის გერენალიტეტი და მინისტრები, თალათ-ბეიმ წარმოსთქვა სიტყვა რომელშიაც აღნიშნა ახალი ხანის დაწყება ბალკანეთის ომის მსვლელობაში, დღიდან ოსმალეთ-ბულგარეთის შეთანხმებისა. ფონ-დერ-ჰოლც-ფაშამ განაცხადა, ადრე თუ მითქვამს, რომ გალიპოლის მოგერების პირველი ხაზი სამ თვეს გასძლებსო, ეხლა ამ შეთანხმების შემდეგ შემიძლია განვაცხადო, რომ ახალი ბალკანეთის კავშირის მოგერების ხაზი აუღებელი იქნებაო.

ბულგარეთის მობილიზაცია.

რადოსლავოვს უთქვამს „Berliner Tageblatt-ის" კორესპონდენტისთვის: სამხედრო მდგომარეობამ გვაიძულა საერთო ნეიტრალობიდან შეიარაღებულ ნეიტრალობაზე გადავსულიყავით. ბრძოლის ასპარეზი თანდათან უახლოვდება ბულგარეთს. ყველამ უწყის, რომ ბალკანეთში ბულგარეთს უზენაესი ინტერესები აქვს. და არავინ იცის, თუ როდის დაუდგება მას კრიტიკული მომენტი. ამიტომ ვალად გვმართებს მუდამ მზად ვიყოთ. აი ეს არის ჩვენი მობილიზაციის მიზეზიო.

როვნაში.

როვნამ ცოტათი სული ამოითქვა ელექტრონის განათება აღადგინეს. ყოველდღე მოდიან ავტომობილები და სხვა და სხვა საჭირო მასალა მოაქვთ. დაბრუნდა ადგილობრივი მთავრობა. ფოსტა-ტელეგრაფმა მუშაობა განახლა. ელიან ხაზინის, ქალაქისა და საერობო თვითმართველობათა დაბრუნებას.

ვარშავაში

„Hamburger Fremdenblatt"-ს ვარშავიდან ატყობინებენ: სამხედრო უწყების ბრძანებით აღადგინეს ხიდეები, დაზიანებული ძეგლები და სამეფო კოშკი. სკოლებში წმინდა ეკონომიურ მოსაზრებათა გამო, რუსული ენის სწავლება შემოიღეს, რადგანაც ადგილობრივ აღებმიცემობაში რუსული ენა აუცილებელია.

გერმანიის სესხი

ენერგიულ მოქმედების წყალობით გერმანიის მთავრობამ მესამე სამხედრო სესხზე 12 მილიარდი მიიღო. გერმანიის ფინანსთა მინისტრმა გულფერიხმა მოუწოდა ამერიკელ კორესპონდენტებს და წარმოსთქვა სიტყვა გერმანიის ფინანსების ბრწყინვალე მდგომარეობის შესახებ. გერმანიის სესხის ასეთი კარგი განაღდება მეგობრულ კავშირის განმტკიცებას ხელს შეუწყობს გერმანიასა და ამერიკას შორის. სესხის ასე ბრწყინვალედ ჩატარების აღსანიშნავად, ვილჰელმმა ერთი დღე აუქმებინა მოწაფეებს.

საბერძნეთის მობილიზაცია.

„Daily Telegraph"-ის კორესპონდენტი ათინიდან იუწყება: ბულგარეთის მობილიზაციის ამბავმა ათინაში ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. იმავე დღეს შესდგა თათბირი სადაც გადაწყდა მობილიზაციის გამოცხადება. ეხლანდელი მობილიზაცია უფრო ფართეა, ვიდრე, ბალკანეთის ომის დროს იყო. ყველას მოუწოდეს 22-ან 45 წლამდე. საბერძნეთის მეფე იზიარებს სამინისტროს აზრს, რომ ბულგარეთის მობილიზაცია აიძულებს საბერძნეთს მიმართოს უკიდურესს ღონისძიებასო.

ლუცკში.

ლუცკში დაბრუნდა ერობა, პოლიცია და სხვა საზოგადო დაწესებულებანი. ფოსტა-ტელეგრაფმა მუშაობა დაიწყო.

პინსკში.

როდესაც გერმანელთა მზვერავები პინსკში შემოვიდნენ ქალაქი სულ ცარიელი დაუხვდათ. ყველა დაწესებულება და ძვირფასეულობა სხვაგან იყო გატანილი. მდიდრები ადრე გავიდენ ქალაქიდან. ასე რომ გერმანელებს ბევრი არაფერი ჩავარდნიათ ხელში. გერმანელები პინსკს გამოშორდნენ და განაგრძეს შემოტევა.

შტაბის დეპეშები

თბილისი, სექტემბერი. 13 ენკენისთვეს ზღვის სანაპირო რაიონში სრული იყო. დუტახის მიმართულებით ფენეკის რაიონში მზვერავ ცხენოსნებს შეტაკება მოუხდათ ოსმალებთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

15 სექტ. მილიოზგერთის მიმართულებით რუსის ცხენოსნებმა სოფ. ალიკონიდან გასდევნეს ოსმალნი. დანარჩენ ფრონტზე არავითარი შეჯახება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 17 სექტ. ოფიციალი. რიგის რაიონში რამდენიმე ნიშანი გამოჩნდა, რომ გერმანელები წამოსულიყვნენ იერიშით. ასევე მცირედ სცდილობდნენ კემერნის რაიონში ნაკადულის პირას გამაგრებულიყვნენ, მაგრამ რუსებმა ნაკადულის მეორე მხარეს გადმორეკეს. სოფ. ვეცროზის სასაფლაოზე გერმანელებმა შეუტიეს რუსებს, მაგრამ დროზევე შეჩერებულ იქნენ. დვინსკთან არსებითი რამ ცვლილება არ მომხდარა. დრისვიატის ტბასთან გერმანელთა ქვეითი ჯარი გაფანტულ იქმნა რუსთა ცხენოსნების მიერ. ბოგინის ტბის სამხრეთით ბევრს ადგილას გამარჯვება რუსების მხარეზე იყო, ზოგან კიდეც წინ წაიწიეს დასავლეთისკენ. სოფ. ლიუბკის რაიონში, ნაროჩის ტბის სამხრეთით, რუსთა ენერგიულ იერიშს გერმანელები ვერ გაუძალავდნენ და უკან დაიხიეს. სოფ. დავიუცევოსთან ბრძოლა რუსთა საკეთილოდ დამთავრდა, როგორც ვილიასე, მორგონის ქვემოდ. აქ მტერი სცდილობდა იერიშით წამოსულიყო, მაგრამ ამაოდ. კრევო-კრომინის ფრონტზე, ბორანოვიჩის ჩრდილო-დასავლეთით, ზემო შოსისა და ომინის არხთან მრავალი პატარ-პატარა შეჯახება მოხდა, რასაც არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია საზოგადო მდგომარეობაში. შუა სტირის რაიონში, ჩარტორისკისთან, კლკის აღმოსავლეთით, ბრძოლა გრძელდება. სოფ კულიკოვიჩთან, სტისზე, ჩარტორიკის ზემოდ, მტერი უკუქცეულია. სოფ. კოშჩიჩე ხელახლად აღებულია, კოლკის აღმოსავლეთით, ტყვედ წამოიყვანეს 5 აფიცერი და ასი ჯარისკაცი. ლუცკის აღმოსავლეთით, რაიც რუსებმა ორი დღის წინად მიატოვეს, ეხლა სასტიკი ბრძოლა ხდება, განსაკუთრებით სოფ. სილნოსთან. მტრის იერიშის გამო რუსის ჯარები იძულებული გახდნენ უკან წამოსულიყვნენ და ზოგიერთა პოზიციები დაეთმოთ მათთვის. სოფ. ცუმაკთან რუსებმა ხელმეორედ მიიტანეს იერიში, მტერი სანგრებიდან ამოჰრეკეს. სოფ. კარპილოვკას რაიონში მტრის კონტრიერიში შეუტევიათ. მათი აზრი იყო სოფ. ... გადაჭრა, ასევე არავითარი ნაყოფი მოუტანია ამათ იერიშებს სოფ. ცებოვთან, ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით და დაბა კოზლოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ახალი ამბავი

გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი. 12 საათ. 45 წუთ. თბილისიდან რუსეთში გაემგზავრა ყოფილი მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი.

მეფის მოადგილის მისალმება. სრულიად სომეხთა კათალიკოზს არქიეპისკოპოსი უსიკი და არქიმანდრიტი ბაბკენი გამოუგზავნია თბილისში, რომლებმაც კათალიკოზის სალამი უნდა გადასცენ მეფის მოადგილეს, დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

კრება. დღეს, საღამოს სრულ 7 ნახევარ საათზე, თავ.-აზნ. დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, დანიშნულია ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მორიგი კრება. იპ. ვართაგავა წაიკითხავს თავის მოხსენების მეორე ნაწილს: „ვაჟა-ფშაველას პოეზია".

თავად-აზნაურთა კრება. ხვალ, 20 სექტემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, თავად-აზნაურთა საგანგებო კრების გაგრძელება იქნება სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამრჩევ ამომრჩეველების ასარჩევად.

კრების გადადება. 17 სექტემბერს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება კიდევ არ შესდგა, რადგან საკმაო რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა. ეს ზედიზედ მეოთხედ არ შესდგა კრება ხსენებული საბჭოსი.

პოლიტეხნიკუმი. ხვალინდელ თათბირზე, რომელიც ექნებათ თბილისის პოლიტეხნიკუმისათვის შემოწირულებათა მიმღებ კომიტეტს და ქალაქის გამგეობას, საკითხი აღიძვრის იმის შესახებ, რომ ვარშავის პოლიტეხნიკუმს თუ თბილისში გადმოიტანენ, იმის პირველ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საამშენებლო თანხიდან გადმოისესხონ 150 ათასი მანეთი.

უსასყიდლო საჩაე და სასადილო. სომხების საქველმოქმედო საზოგადოება უსასყიდლო საჩაიეს და სასადილოსა ჰხსნის სომეხთა ღარიბ მოსწავლეთათვის.

წვიმები სოფლად. როგორც სამეგრელოდან გვატყობინებენ, იქ გამუდმებულ წვიმების გამო, ძალზე აციებულა. სიცივეს სულ ერთიან გაუფუჭებია თუ სადმე კიდევ იყო სიმინდი დარჩენილი. ხალხი სასოწარკვეთილებამდე მივიდა, რადგან წლევანდელზე უარესი შიმშილობა მოელის. ეხლა, ვისაც აქვს, ჭყინტლი სიმინდით იკვებება, მაგრამ შემდეგში ესეც აღარავის ექნება.

ხოლერა. 17 სექტემბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 4 და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 5 კაცი, მათ შორის თინა ანათაშვილი (დ. გ. გობეჟიშვილი). გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 152 და ხოლერის ნიშნებით 5 კაცი.

გადამდები სენი. 18 სექტემბერს ქალაქის საავადმყოფოში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 49, შავი სახადიანი 38, საოფლიანი 27, ხუნაგიანი 23, მუცელაიანი 5 და ყვავილაიანი 1 კაცი.

დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცნი. თბილისის ლაზარეთებში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: ცერცვაძე პავლე ხიკოლოზის ძე, გულდაშვილი ალექსანდრე ყარამანის ძე, პაპუნაშვილი ვასილ იაგორის ძე, კვეტენაძე სერგო თედორეს ძე, ლოლაძე სერაფიონ ოტიას ძე, გაგუა ავქსენტი, ტუჩელაშვილი დათა მიხაკოს ძე, რუსიაშვილი გიორგი საბას ძე, მოსაკვდიშვილი ივანე არსენის ძე, ლორია ბიქტორ ივანეს ძე, აბულაძე სამსონ, ფიცხელაძე ვლადიმერ ალექსის ძე, ჩოხელია სიმონ, ფიცხელაური ივანე იოსების ძე, გოგიტიძე გიორგი ფილიპეს ძე, ყოჩაშვილი ნიკო ზაქარიას ძე, ნოდია მიხაკო ლავრენტის ძე, ადნიკაშვილი ქრისტეფორე მიხაკოს ძე, ხურცია ისიდორე ესეს ძე.

ჟუთაისი,

ქუთაისში ახლად დაარსებულ „სინათლის" საზოგადოების ქალთა სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზიის კურთხევა მოხდა 14 სექტემბერს. სწავლა დაიწყო 15 სექტემბერს.

კავკასიის სამხედრო-სამრეწველო

სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში

მეფე ვახტან VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით)

(გაგრძელება, იხ. „საქართ." № 95).

II

ახლა გადავდივართ პირდაპირ დანიშნულ მიზნის მისაღწევად, ე. ი. ვეცდებით გადმოგცეთ მეფე ვახტანგ VI-ის „კანონთა კრებულის" შინაარსი. ახლავე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს კრებული მეტად არეულ-დარეულ წესრიგზეა შედგენილი. მიუხედავად იმისა, რომ თვით სჯულმდებელი ბევრსა სცდილა კერძო დანაშაულობანი დარგებად დაეყო და განსაკუთრებული სახე მიეცა თვითეულ მათგანისთვის, ამ კრებულს აკლია სისტემა, რის გამოც სასისხლო ნორმები არეულია სამოქალაქოში. ამიტომ, ამ ძეგლში აღნიშნულ დანაშაულებათა ნამდვილი სახე რომ გავიცნოთ, საჭიროდ მიგვაჩნია მათი დაყოფა სახეებად.

იურიდიულ ცხოვრების სფეროში, რასაც ეს ძეგლი გვიხატავს, შემდეგ უფლებებს ვხედავთ: კერძო პირთა სფერო, ოჯახისა, საეკლესიო და სახელმწიფოსას. ამიტომ ამ „კრებულში" აღნუსხულ დანაშაულებათა ჯამს ვყოფთ შემდეგ კატეგორიებად: 1) დანაშაული კერძო პირთა წინააღმდეგ, 2) ოჯახისა, 3) სარწმუნოებისა და 4) დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

1 დანაშაული კერძო პირთა წინააღმდეგ.

კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად ითვლება: 1) მკვლელობა; 2) დასახიჩრება (ცემა, ჭრილობა, და სხვა); 3) შეურაცხყოფა (ცილისწამება, სიცრუე, ვერაგობა, სათნოების შელახვა); 4) პიროვნების დაუზღვეველობა და თავისუფლების შელახვა (მუქარა, მძარცველობა, ტყვეების გაყიდვა) და 5) ქონების დაცვა.

სისხლის სამართალი.

„ნუმცავინ იკადრებს და ნუმცა ვის შეემთხვევის ესე ვითარი,—ეკითხულობთ ამ კანონების მე 25 მუხლში,—რომელი ავნებს ხორცსა და უმეტეს სულსა, ნუმცა საღთო კაცი და ნუმც სხვათა ძეთა ადამისათა, რომელსამე ვხმობ ესე ვითარი. ნუთუ პირველითგანვე სამოხიდამ მამისა ადამის გამომძებელმან, მარადის მტერმან და ბრძოლმან უხილავმან ეშმაკმან თვისთა მანქანებითა და საბრხე გებითა აღზრას ბუნებანი კაცთანი შურად და კვლად კაცისად... ესე ვითარს საქმეს შეემთხვიოს, მასუკან ამის მეტი აღარა გაეწყობის რა, როგორც დაგვეწეროს, ისე უნდა იქნას".

შემდეგი მუხლები ოცდა ექვსიდან მოყოლებული 33-დე გვინმარტავენ სისხლის სამართალის კანონს, რომელიც შეეხება საზოგადოდ მკვლელობას დაწყებული „დიდებულის თავადის მთელი სიკვდილის სისხლით" და გათავებული უკანასკნელი „გლეხით". ამ კანონთა განმარტებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ იმ დროს ქართველთა სამართალმა არ უწყოდა ეგრედ წოდებული უუფლებო კლასთა სიცოცხლე და იმ პირთა სიცოცხლე, რომელნიც დაცულნი არიან თავიანთ ქონების მიხედვით. მე-95 მუხლის ძალით თვით თავადი ანუ კათალიკოსიც კი ვერ ასცდებიან მეფის რისხვას, თუ მათ უბრალოდ მოუკლავთ, ანუ „გაახეიბრიათ" ყმა, გინდა საკუთარი გლეხი, „ამიტომ რომე,—ვკითხულობთ ამ მუხლში,—უხელმწიფოდ კაცს თავისის ყმისა სიკვდილი და გახეიბრება არავის ხელეწიფების... თუ უბრალოდ მოკლა, თუ გინდა ფათერაკად მოსელოდეს, საფათერაკო უნდა მისცეს და წყალობა რამე უყოს" მას და მის ნათესავებს.

ვახტანგის კანონები სასტიკად ჰსაზღვრავს კერძო პირთა ხელშეუხებლობას და მას ჰყოფს რამდენიმე დარგად. მაგრამ ვიდრე ჩვენ ვილაპარაკებდეთ იმ გარემოებაზე, რაიც ვახტანგს თვის კანონთა საფუძვლად მიუღია, განვიხილოთ თვით ეს კრებული, თუ რამდენად ყურადღება მიუქცევია დანაშაულის გამორკვევის დროს დამნაშავის ნება-უნებურობისთვის.

ძველის ძველი სისხლის სამართლის კანონები და ადათები, როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, განსაკუთრებით გარეგან მხარეს აქცევენ ყურადღებას, ე. ი. იმ დროს არას დაგიდევდნენ, რამდენად ჰსურდა თუ არა ჰსურდა დანაშაულის ჩადენა. „უფლების საბავშვო მდგომარეობის დროს,—ამბობს მ. კოვალევსკი,—თვითეულ ბოროტმოქმედებაში ხედავენ მხოლოდ ნივთიერ დანაკლისს და არ დაგიდევენ პასუხისმგებელი რამდენად შეგნებით სჩადიოდა ამ ბოროტებას. ასევე სჯიდნენ არა მარტო ადამიანს, თვით მავნე ცხოველებს და მცენარეულობას, რომელთაც მათი ფანტაზია სულიერ და გონიერ არსებად ჰსახავდაო" [1]). ცხოველსა და უსულო საგანთა ასეთს პასუხისმგებლობას ვხედავთ „სომეხთა სამართალშიაც". „თუ რქიანი საქონელი ერჩის მამაკაცს ანუ დედაკაცს და სასიკვდილოდ არ დაჰზოგავს, მაშინ ასეთი საქონელი უნდა ჩაიქოლოს" (გვ. 215), ანუ „თუ ადამიანი ხიდან ჩამოვარდა და მოკვდა, თუნდა ნებსით ვინმემ ზედ თავი ჩამოიხრჩოს, მაშინ, მოსეს კანონის მიხედვით, ხე იგი უნდა ძირიანფესვიანად მოიჭრას და მისი ნაყოფი არავინ იხმაროს საქმელადა..." ეს ებრაელთა კანონებიდან ამოღებული დადგენილებანი ჰსაზღვრავენ ეგრედ წოდებულ ანიმისტურ პერიოდს, ანიმიზმს, ე. ი. ადამიანის მიერ ბუნების გაპიროვნების ხანას [2]). რამდენადაც ვითარდებოდა კაცობრიობის ნიჭი სულიერ და უსულო საგანთა გარჩევაში, ადამიანთა და პირუტყვთა განცალკევებაში, იმდენად ფაქიზდებოდა მეხსიერება და მიზეზიც საცნაური ხდება, რასაც კულტურის ისტორიკოსები უწოდებენ ცხოველთა და მცენარეულობათა თავზე მოღებულ სამართალს.

დიდხანს განაგრძობს თავის არსებობას განურჩეველობა იმისადმი, დანაშაული იყო თუ არა წინად-განზრახული და დიდხანს ისჯებოდა შემთხვევითი და განუზრახველი ბოროტმოქმედება. ქართული სჯულდების ძეგლებიდან, ყველაზედ უძველესი, სახელდობრ „გიორგის კანონები" დამორჩილებია სისხლის სამართლის იდეის საერთო ისტორიულ განვითარებას და აღარ განარჩევს მოფიქრებულ მკვლელობას მოუფიქრებელ შემთხვევით მკვლელობისაგან, „ვინც უცაბედად მოჰკლავს გამგესო, ნათქვამია მესამე მუხლში, იგი დაისჯების სამშობლოდან გაძევებით; ხოლო ქონება მისი სამუდამოდ სახაზინოდ შეირიცხებისო. „გიორგის კანონებმა" ამაზედ უფრო სასტიკი კანონები აღარ იცის. მაშასადამე დანაშაულის უცაბედობა ოდნავადაც არ ამსუბუქებს დამნაშავეთა მდგომარეობას. შეიძლება ამ შემთხვევაში, ამ უცაბედი მკვლელობის დასჯის სისასტიკე იმაზედ იყო დამოკიდებული, რომ მკვლელობის საგნად თანამდებობის კაცია დასახელებული. მაგრამ, რადგანაც ეს ერთად-ერთი კანონია, სადაც გაკვრით არის მოხსენებული უნებლიე მკვლელობის საქმე, ნება გვეძლევა გადაჭრით ვთქვათ, „გიორგის კანონები" ვერ არჩევს განზრახულ დანაშაულს უნებლიე-საგან. არც აღბუღას და არც კათალიკოსთა კანონებში მოიპოვება ამგვარი გარჩევა.

რაც შეეხება ვახტანგის კანონებს, თუმცა ვერ ქადაგობენ უნებლიე მკვლელობათა სრულ შეწუნარებას, მაგრამ ნათლად-კი განასხვავებენ მოფიქრებულ და უნებლიე მკვლელობას ერთი-მეორისაგან. დანაშაულობის და დასჯის ხარისხი განიზომება იმდენად, რამდენადაც ადგილი აქვთ ამ საქმეში შეგნებასა და ნებისყოფას. „ხანდახანაო, ნათქვამია 92 მუხლში, მოხდება უნებლიე მკვლელობა, დაჭრა ან გახეიბრება, როდესაც მაგბლითად ცხენი გაიტაცებს თავის მხედარს სხვას დააჯახებს და დააშავებს, ანუ როდესაც ნასროლი ტყვია თუ ისარი ნადირის ნაცვლად კაცს მოხვდება, ანუ თამაშსა და ლხინში მარცხად ვინმე დაშავდება". ასეთ შემთხვევაში „კანონი" მოითხოვს, რომ მოკლულს დასამარხავად დამნაშავეს ჩამოერთვას ცხენი თუ თოფი, რამაც მკვლელობა გამოიწვია. „მკვლელობა რომელსაც გამოიწვევს ნადირზე, თუ ფრინველზედ თუ ისე უბრალოდ მიზანში გასროლილი თოფი, იწოდების უნებლიე მკვლელობადო,—ნათქვამია ამ მუხლის ბოლოში და ამ შემთხვევაში სასჯელი „მიეზღვების უნებლიე დანაშაულის პირობაზედ". ამნაირად, „კანონებში" ნათლად არ არის გარკვეული, თუ სახელდობრ რა დროს როგორ უნდა იქმნეს სისხლი აღებული, როდესაც მკვლელობა განზრახ არის ჩადენილი, ანუ როდესაც იგი უნებურია, 194 მუხლის ძალით ჭრილობა ანუ დასახიჩრება თამაშობის დროს, თუნდაც ამას შედეგად სიკვდილი მოჰყვეს, არავითარი სასჯელი არ არის დაკანონებული. აქ მხოლოდ დამნაშავე იხდის დაშავებულის მოსარჩენ ხარჯს, ხოლო თუ მოკვდება, მაშინ მას მარხავს თავის ხარჯით. როგორც აქ მოყვანილ დადგენილებიდანა სჩანს, დამნაშავე ნათლად ჰგრძნობს თავის დანაშაულს, ეს უფრო ნათელი იქმნება ჩვენთვის, თუ განვიხილავთ მე-182 მუხლს,

[1]) М. Ковалевскій, „Обычай и законъ на Кавказѣ", т. II, стр. 30.

[2]) М. Ковалевскій, „Современный обычай и древній законъ", т. II, стр. 103.

კომიტეტმა წინადადება მისცა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გამგეობას, ამოირჩიონ 2 წარმომადგენელი კომიტეტის შემადგენლობისათვის.

◆ „სინათლის“ საზოგადოებას გადაუწყვეტია ახლად დაარსებულ ქალთა ქართულ გიმნაზიის საკუთარ შენობის ასაგებად შეიძინონ საქველმოქმედო საზოგადოების კუთვნილი მიწა სააზნაურო ვაჟთა ქართულ გიმნაზიის მახლობლად.

◆ ამ თვის ბოლო რიცხვებში მოხდება სათავად-აზნაურო მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის მამულების „შემფასებელთა“ არჩევნები.

◆ ქუთაისის სათავად-აზნაურო ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლათ მიწვეულ იქმნენ აკაკი ფალავა და ტრ. ხუნდაძე.

◆ სრულიად რუსეთის საბირჟო ორგანიზაცია სთხოვს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შევიდეს ხსენებული ორგანიზაციის შემადგენლობაში და მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობა-მრეწველობისა და მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა და სხვა კითხვის გადაწყვეტაში.

◆ სოფ. ზემო სურებში (გურია) 8 სექტემბერს დილით თავი დაიხრჩო ჯარის კაცის ცოლშა ირინე ლომთათიძისამ. საწყალ ქალს ვერ გადაუტანია ქმრის სიკვდილი, რომელიც გარდაიცვალა კავკასიის ფრონტზე.

◆ ხუთშაბათს, 10 სექტემბერს ქალაქის თეატრში გაიმართა ლიტერატურულ-დრამატიული საღამო, საღამოს ხალხი საკმაოთ დაესწრო. მიხ. წულუკიძემ წაიკითხა ლექცია ვაჟა-ფშაველას შესახებ, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე. ლექტორი ტაშისცემით რამდენჯერმე გამოიწვიეს. ი. ჟღენტის მიერ წაკითხულ იქნა ია ეკალაძის ლექსი „ობლის აღსარება“.

თავიანთი ნაწარმოები წაიკითხეს: გალაქტიონ ტაბიძემ, ვ. რუხაძემ, შ. დადიანმა, ლადო მაჭავარიანმა, ი. ნიჟარაძემ, ვ. ჭითავამ და წევოლმა.

გურული სცენები მოხდენილათ წაიკითხა ი. ჟღენტმა. იგი რამდენჯერმე გიმოიწვია საზოგადოებამ.

საქართველოს დიდი ვარამი

მოახლოვდა თბილისის ხმოსნების არჩევანის დრო და ჩვეულებრივ ჩვენს გულს მოაწვება სევდა და ჩვენი დედა-ქალაქის ბედი დაგვაძმარებს—დაგვანაღვლიანებს.

მაგრამ, ვგონებთ, ჩვენი ცხოვრების ჰაერსაც ფერი ეცვალა და ჩვენი ჩვეულებრივი სენი: ჩვენი დაუდევრობა და უქნარობა დასუსტდა და ძველებურად ველარ მიგვაძინებს.

იმედია, ჩვენც გამოველით იმ შესაბრალის და სამარცხვინო მდგომარეობიდან, როცა მარტო წყრომით და ოხვრით ვუპასუხებდით ხოლმე ჩვენს დაქვეითებას—ჩვენის უფლების გაქელვას.

იმედია, ჩვენი საზოგადო ცხოვრება იმდენად გაღონიერდა, რომ შეუძლიან კიდეც შეუდგეს იმ დიდ საქმეს, რომლის პირველს ნაბიჯს და უმთავრეს საპოზიციო სიმაგრეს წარმოადგენს ჩვენი დედა-ქალაქი და მისი დღევანდელი შავ ბედის წერა.

თბილისის მართვა—ჩვენი დედა-ქალაქის, ქართველი ერის ძველი კულტურის მოწმის და მნათობის-მართვა, უმთავრესი ეროვნული კითხვაა ჩვენთვის. თბილისს ისეთი დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისათვის, რომ მისი სხვების ხელში ყოფნა დიდი სიბეჩავეა ჩვენთვის. თბილისის შავი ბედი და დღევანდელი მდგომარეობა მღაღადებელი ფარანია ჩვენის სულიერი სიღატაკისა, ჩვენი დღევანდელი კულტურული დაძაბუნებისა.

თბილისის ეროვნული მნიშვნელობა მარტო მის ისტორიულ ნაშთის მნიშვნელობაში არ გამოიხატება. თბილისისთანა დიდი და დედა-ქალაქები წარმოადგენენ ერისათვის იმ აუზს, რომელშიაც არის შეგროვებული და საიდანაც მიმდინარეობს გარშემო მცხოვრებთათვის მთელი ეროვნული ძალა და შეძლება.

ამგვარი ქალაქი სოფელთათვის და მთელი ერისათვის არის ის მნათობი, რომლის სხივები ერთფეროვანად ანათებენ ყოველს კუთხეს და მთელს მიწა-წყალს ერისას და რომლითაც ერთგვაროვნობა ეძლევა აზრს, ცოდნას და განათლებას ერისას.

თბილისისთანა დედა-ქალაქი არის ერისათვის ეკონომიური ძალა, რომელიც ერთის მხრივ ერის ნაწარმოების და ნაშრომის გამსაღებელი და გამაძლიერებელია, ხოლო, მეორეს მხრივ, საუკეთესო და სასარგებლო კვალზე დამყენებელი დი მომწყობი.

ხოლო დედა-ქალაქის ამგვარ ეროვნულ მნიშვნელობისათვის საჭიროა ქალაქში გამეფებული იყოს ეროვნული ინტერესი; საჭიროა, ამ ქალაქში მცხოვრებთა ზნე-ჩვეულება, მისწრაფებანი, ფსიხოლოგიური და ფიზიოლოგიური თვისებანი ისეთივე იყოს, როგორიც გარშემო მცხოვრებ ერსა აქვს. ხოლო მაშინ, როცა დედა-ქალაქს მმართავდენ იმ ერის შვილნი, რომელსაც ეკუთვნის ქალაქი და არა სხვა ვინმე უცხო ერის კაცნი, მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქის მმართველობა გამსჭვალულია ერის სურვილებით და გრძნობს ერის ვარამს და ჭრილობას, მხოლოდ მაშინ დედა-ქალაქი სულიერად არის შეკავშირებული ერთან, მხოლოდ მაშინ დედა-ქალაქი ასრულებს თავის დიდს ეროვნულ დანიშნულებას.

თბილისის დღევანდელი მდგომარეობა—ის სამწუხარო მოვლენა, რომ თბილისის თვითმართველობა ხელში უკავიათ არა ქართველებს—სრულიად აუქმებს ჩვენთვის თბილისის ეროვნულს მნიშვნელობას და ჩვენს დედა ქალაქს ჰხდის უვარგისად ჩვენი ეროვნული საქმისათვის. თბილისის აღნიშნულ მდგომარეობის გამო ჩვენს ერს მოწყვეტილი და გაუქმებული აქვს ის უდიდესი ძალა ჩვენი ერის წინსვლისა, რომელსაც წარმოადგენენ ხოლმე ერის დედა ქალაქები, ჩვენს ერს დაკარგული აქვს ის აუზი, რომელიც ერის ცალკე ნაშრებს, ეროვნულს ჯგუფებს აკავშირებს ერთმანეთთან და რომელიც თავისებურ ძარღვებით აერთიანებს დედა ქალაქს და გარშემორტყმულს დაბა-სოფლებს ერთ სხეულად—ერთს ორგანიზმად. საგაზეთო წერილში დაწვრილებითი დასაბუთება და დამტკიცება დედა ქალაქის ზევით გაკვრით აღნიშნული მნიშვნელობა არა ძნელია.

მხოლოდ მაშინ, როცა ყოველს ქართველს, მიუხედავად მის ადგილობრივ მცხოვრებისა, შეესისხლხორცება თბილისის ეროვნული და არა ადგილობრივი მნიშვნელობა, მხოლოდ მაშინ, როცა თბილისს მოშორებული ქუთათელი, ბათუმელი, ოზურგეთელი, ერთნაირად თბილისის გვერდით მცხოვრებ ქართველთან, ჩაიბეჭდავს გულში თბილისის დღევანდელ მდგომარეობას თავის დიდ ვარამად, მაშინ, როცა თბილისის მოწყობას იკისრებს და მოჰკიდებს ხელს არამც თუ თბილისელი, არამედ ყოველი ქართველი, მხოლოდ მაშინ გაგვეღვიძება იმედი და რწმენა, რომ ამ ჩვენს ეროვნულს ჭრილობას მოეძებნება წამალი და თბილისი, ეს ბურჯი და მნათობი ჩვენი ისტორიისა და კულტურისა, დაუბრუნდება თავის ისტორიულს დანიშნულებას და განახორციელებს თავის ეროვნულს საქმეს.

ამისდამიხედვით, ჩვენც ვისურვებთ, რომ მთელი საქართველო, ყოველი ქართველი შეებას ამ დიდს და ძველს საქმეს, რომელსაც წარმოადგენს თბილისის თვითმართველობის ჩვენ ხელში გადმოსვლა.

ხვალ-ზეგ დაიწყება კიდეც ხმოსნების ამორჩევა. ჩვენდა საუბედუროდ, წარსულმა დაგვანახა, რომ ამ დიდ საქმეშიაც ჩვენ გვაკლია სოლიდარობა. პარტიობა და რაღაც კერძო მოსაზრებანი ისე დაგვაბნელებს ხოლმე, რომ ჩვენვე ვისრისებით და ვკარგავთ რამოდენიმე ხმას ქალაქის საბჭოში. ეს სამწუხარო მოვლენა ჩვენ სამართლიანად სამასხაროდ გვხდის სხვების თვალში ერთის მხრით ყველა ჩვენთაგანი მარტო იმას გაიძახის, ქართველებს გვდევნიან, არ გვიშვებენ ქალაქის საბჭოშიო, ხოლო მეორე მხრივ ჩვენვე რაღაც პრინციპების და თეორიულ მოსაზრებათა სახედით ერთმანეთს უშლით არჩევნების დროს.

ცხადაა, ჩვენ გვაკლია კარგი ორგანიზაცია და წინამძღოლი, რომელიც დროზე გაგვიხილავს თვალებს და დაგვარწმუნებს, რომ იქ, საცა ეროვნული საქმე კეთდება, იქ არ უნდა ჰქონდეს ადგილი რაღაც კლასობრივ და პარტიობრივ განკალკევებას ჩვენ გარდა, ეს ყველას აქვს შევნებული, ხოლო ჩვენი მეტიჩარობა და ვითომდა ჩვენი დიდი ბრძნობა იჩენს ხოლმე თავს და ასე უდროოდ და ჩვენდა სამარცხვინოდ შემდეგში მეტად მწარედ დაგვაღონებს ხოლმე ყველას.

ვიმედოვნებთ, რომ ეხლა მაინც ამ მეტიჩარობას თავს დავანებებთ და ვეცდებით არ დავკარგოთ არც ერთი ხმა ქალაქის საბჭოში და ცოტად მაინც მიუახლოვდეთ ჩვენს დიდს ეროვნულს მიზანს.

გო—გი.

ქუთაისის დრამატიული საზოგადოება

ქართველს თუ მზად არა აქვს ყოველისფერი წინ მირთმეული, ისე ხელს არ გააქნევს. იშვიათად, რომ თვითვე როდისმე გამოიჩინოს ინიციატივა სიცოცხლისა. ასეთ იშვიათ რიცხვს ეკუთვნის ჩვენი დაუღალავი რეჟისორ-მსახიობი შალვა დადიანი, რომელიც ბოლო ხუთ-ექვსს უკანასკნელ წლებში საოცარი ბიძგებით და სიბეჯითეს იჩენს, რომ თავის საყვარელ თეატრის ღირსეული მსახური იყოს. მუდამ მოძრაობა, მუდამ სიცოცხლე, დღეს აქ, ხვალ იქ, აქ არარაობიდან რამის შექმნა, უბრალო სცენისმოყვარეთაგან შექმნა მსახიობთა ღირსეულ კონტინგენტისა,—აი შალვა დადიანის ღირსება, აი მისი უნარის მთელი ფოკუსი, სიძლიერე. როგორც უაღრესად ინტელიგენტი და მუყაითი ადამიანი, იგი დაჯილდოვებულია მახვილი ალღოთი, თუ რა საზოგადოებას რა მოუხდება. გათვალისწინებული აქვს პირობები, დრო, ალაგი. აი, ამ ჟამადაც მას 19 კაცისთვის მოუყრია თავი, 21 ახალი პიესა ხელთა ჰქონია. აქედან 8 ორიგინალი ნაწარმოებია. თეატრის სეზონში ეს ფრიად სახარბიელო რეპერტუარად უნდა ჩაითვალოს. პიესის შერჩევაში რეჟისორს უხელმძღვანელნია დროის პირობებით. ისედაც დამძიმებულ და ნერვებ-დაჭიმულ საზოგადოებას არ ეპირვება წევრთა ზედმეტი გაღიზიანება, დრამატიზმის ზარი და მოთქმა. ამიტომ მას ყურადღება მიუქცევია კომედიებისათვის, ერთი სიტყვით, ისეთ პიესებისთვის, რაიც დამსწრე საზოგადოების ნერვებზე დამამშვიდებელ მალამოდ იმოქმედებს, ერთგვარ თავდავიწყებას შეიტანს, სიმხიარულეს, სიცოცხლეს.

დასი, როგორც გავიგეთ, ქუთაისში ოც ოქტომბრისთვის უკვე შეუდგება მუშაობას. ქუთაისის დრამატიული საზოგადოებაც შეჰპირებია დახმარებას. ეს ასეც უნდა იყოს. მსახიობთა ამხანაგობას თავისით არა მოეპოვება რა გარდა ერთი ნიჭისა და კერძოდ მეცნიერები კი ჩვენ არავინა გვყავს. მაშასადამე, ზრუნვა მას შეეძლება, ვინც ახლოს სდგას თეატრთან, ასეთი კი დრამატიული საზოგადოებაა.

ახლა საქმე მხოლოდ დაწყებაა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამხანაგობა გაიმარჯვებს კიდეც. ამ მხრივ ბედნიერია ქუთაისი. ჩვენ, თბილისელები, უნებურად შურით შევყურებთ მას. იმ დროს, როდესაც სიცოცხლე სიცოცხლეს მოითხოვს, ჩვენი დრამატიული საზოგადოება აქ სულს ჰღაფავს, პასივურად წარსდგომია მოთხოვნილებათა წინაშე პასუხისმგებლობას. ქუთაისმა კარგად დაგვანახვა საქმით, რომ ვისაც სიცოცხლე ჰსურს, ის იცოცხლებს კიდეც.

ვაშა ქუთათურ მსახიობთა ამხანაგობას!

მშვიდობის გზა დაგვილოცნია!—

დ. კ—ძე.

პრესა

დღევანდელ მდგომარეობის შესახებ „რუსკ. ვედომოსტი“ სწერს:

„ჯერ კიდევ გვიან არ არის, უკანასკნელ დღეებში მომხდარ ამბების გამო უფსკრულის პირად მივედით. დეზორგანიზაციის აჩრდილი და შინაურ აწეწვ-დაწეწვის ლანდი საზარელ სახით გვემუქრება. მაგრამ ჯერ კიდევ ნაგვიანევი არ არის. თუ რაოდენადმე მოვუვლით თავს, შევძლებთ თავის შეკავებას, შესაძლებელია ამ უფსკრულში არ გადვიჩეხოთ. რომ ნამდვილი გზა ვიპოვოთ, რომ გამოვნახოთ საშველი კარი, უწინარეს ყოვლისა ჩვენ არ უნდა ვმალავდეთ იმ განსაცდელის გამოქვეყნებას, რომელიც რუსეთს ემუქრება წასალეკველად. მტერი რუსეთის სიღრმისკენ მოიწევს, თავშეუკავებლივ მოჰქრის ჩვენი სახელმწიფოს მასიცოცხლებელ ცენტრებისკენ. მისი მუქარა დიდია, საწადელი—განუზომელი. იგი მთელს ძალღონეს იკრებს, მთელს თავის კოლოსალურ ორგანიზაციების ენერგიას, რათა სწრაფად და გარდამწყვეტ სახით გაი-

---

სადაც ნათქვამია, რომ თუ ორი მხედარი ერფურთს შეეჯახებიან, ერთი მათგანი ცხენიდან გადმოვარდება და მოკვდება, ამისთვის მეორეს სასჯელი არ ეიცემაო“. მაშასადამე, განზრახვა ანუ ბოროტად ნების მოხმარება სასტიკად ისჯება ვახტანგის კანონით თვით იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც დამნაშავეს თვისი განზრახულება ჯერ კიდევ სისრულეში არ მოეყვანოს, ე. ი. კანონი სჯის სიკვდილის განზრახვას და ამისთვის მზადებას, თუმცა ამ შემთხვევაში სასჯელი ორჯელ მცირეა, ვიდრე თვით ფაქტი მკვლელობისა. „თუ კაცი კაცს არას ემართლებოდეს და მოღალატედ, ან გზაზედ სადმე სოფლად ღამით გამოსავლელს ადგილს, თუ სადაცა, იარაღად სასიკვდილოს გამომეტებით დაუდგეს და ის საქმე გამოჩნდეს, რომე სდგომოდეს და მერმე იმ ხანად იმ კაცს აღარ გამოევლოს და წამოსულიყოს, თავის გუნებით სიკვდილი სდომებია, მაგრამ ღმერთს მოურჩენია, რომე იმ გზაზე აღარ გამოუვლია. ამისთვის მთელი სისხლი მოღალატემ იმ კაცს მისცეს და თუ გაიაროს, ან მოკლას და ან დასჭრას, ორკეცი სისხლი მისცეს, ერთი ღალატად დადგომისა და ერთი სიკვდილისა, და თუ ამ უბრალომ კაცმან ის მოღალატე მოკლას, მისი სისხლი არ არის“. ამ მუხლის ანალიზიდან სჩანს, რომ ვახტანგის სამართალმა უწყის გარემოებანი, როდესაც მკვლელობის სასჯელი ოკეცდება. ამ შემთხვევაში ასეთ გარემოებად ითვლება ჩასაფრება. მუხანათური სიკვდილი, როგორც ყოველი მუხანათური საქციელი, ამ სამართლის ძალით უფრო სასტიკად ისჯებოდა. ამგვარსავე მკვლელობაზეა ლაპარაკი მე-89 მუხლში, სადაც სწერია: „თუ ყაზახმან კაცი მოკლას გზირობით და გამოჩნდეს, სისხლი მისცეს, და თუ გზირი მოიკლას მისი სისხლი არ არს“. იმ შემთხვევით, როდესაც მკვლელობის სასჯელი ორკეცდება, ეკუთვნის აგრედვე მოწამვლაც: „მოწამვლით მკვდარი კაცი სხვა კაცის კვლას არა ჰგავს, ამად რომე ერთმანერთის შუღლით სიკვდილი სხვა არის, ფათერაკად სიკვდილი სხვა არის, მტერობის სიკვდილი სხვა არის; მაგრამ ეს მოწამვლა ორზომად სისხლად იგდება: ჭრისტიანობით სამართლით,—განაგრძობს ეს მუხლი,—ხელში ის მომწამლავი მიეცემის მოსისხარს“.

ამ სამართალმავე უწყის თავდაცვის საჭირო ინსტიტუტი, რომელიც იცავს ადამიანს თავდასხმისაგან. ეს თავდაცვა ხშირად მოწინააღმდეგის სიკვდილამდინაც კი ფართოვდება. დანაშაულის პატიებაზე ნათქვამია მე-42 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია ათამდე შემთხვევა, როდესაც დამნაშავეს დანაშაული მიეტევება: 1) ერთი ესე რომე ომში კაცი კაცს შემოაკვდეს, მეპირისპირე მეომრისა; 2) რომე კიდევ კაცი თავისის დროშისა უცნობლად შემოაკვდეს, უმტერო და უქიშპარი და თუ ქიშპნი და ნამტერალნი ყოფილან და მკვდრის პატრონი შესწამებს, განზრახვით მოჰკლაო, იმას ან ჯერი, ან სისხლი უნდა; 3) მიხდომის სიკვდილის სისხლი არ არის, რომ დამხვდარმან მოკლას; მაგრამ ბატონი, რომ თავის ყმას მიუხდეს, იმისი არ გვითქვამს[3]. 4) ყმა რომ არ იყოს მისი და ერთმან კაცმან კაცს საკვდავად შეუტიოს და იმ უმცროსმან კაცმან გასიდოს და უფროსმან ხმალი შემოჰკრას, მეორე კიდევ შემოსაკრავად მოინდომოს და ახლა იმ უმცროსმან დაასწროს, მოჰკლას, თუ დასჭრას, არც მისი სისხლი ითხოვების; ამიტომ რამე თავის სიკვდილის შიშს უქმნევინებია, დათმობად ისიც კმარა, რაც პირველზე დაუთმია, და თუ იმ ერთს შეკვრას გახეთადმი უფროს მეორეს ხლმის შემოკვრა აღარ მოუნდომებია და უმცროსს შემოუკრავს, მოუკლავს, თუ დაუჭრია, უმცროსმან სიხლი მოსცეს, მაგრამ მისი ჭრილობაც უანგარიშეთ. 5) თუ სწორმან სწორს შეუტია და ხმალს ხელი გაიკრა და იმ მეორემ ამ შემტევებელს უწინ შემოჰკრა და დასჭრა, თუ უნდა კიდეც მოკლას, ვერას შეუა. 6) თუ ან ცოლზედ, ან შვილზედ კაცი იყოს თუ ქალი სხვა კაცი დაახელოს, მოკლას. 7) თუ მოახლეზედ დაახელოს და მოკლას, მაგრამ ამას ცოტა რამ კი გაუჩნდების სამარხვით; 8) თუ ბატონმა ყმის ცოლს უშიყოს, ან ღამე, ან დღისით და ცოლთან საწოლზედ დაახელოს და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდების; 9) თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზედ დაახელოს და მოკლას, არც ძისაგან და არც ნათესავთაგან სისხლი არ ეთხოვების. 10) რომ კაცს ქურდი შეეპაროს და ის ქურდი მოკლას თავის სახლში“.

ამ მცირე განხილვით სასჯელის მიტევების შესახებ ჩვენ გადავდივართ ამ სამართლის უმთავრეს საფუძვლებზე, რაზეც ემყარება შემდეგ თვით სიკვდილის დასჯა.

(შემდეგი იქნება)

პ. კიზირია.

[3]) ესეთი მდუმარება კანონმდებლისა გლეხკაცის თავდაცვის დროს, როდესაც მას თავზე ბატონი ესხმის, ოდნავაც არ ეწინააღმდეგება გლეხკაცის პროვნების ხელშეუხებლობას, რაზედაც ზემოდ ვილაპარაკეთ. ბატონი სავსებით არ გაუთავისუფლებია როგორც მეფის მსჯავრისგან, ისე კათოლიკოსის განსჯისაგან. აი რასა ვკითხულობთ მე-95 მუხლში; „თავისის ყმისა სიკვდილი და გახეიბრება არავის ეხელმწიფების“..

მარჯვოს. თუ ჩვენი სიცოცხლე ასეთს პირობებში მისხლტის შინაგან დეზორგანიზაციისკენ, ეს მთელს ჩვენს ქვეყანას ემუქრება არა მარტო სერიოზული წახდენით, არამედ სრული კატასტროფით, რის შედეგი მძიმე უღლად შეიდგმენ ჩვენცა და მთელი ჩვენი შთამომავლობაც. თქმა არ უნდა, ეს არ უნდა მოხდეს. მაგრამ რომ ეს მოხდეს, საჭიროა ჯათლად წარმოვიდგინოთ მთელი განსაცდელის ხაზი, მთელი ის საშინელი მდგომარეობა, რაშიაც დღეს ვართ ჩაცვივნილი. ამ შემეცნებამ შეუძლებელია არ გამოიწვიოს ჩვენში მისწრაფება საკანონმდებლო და მმართველობითი სისტემის შესაცვლელად, რათა გერმანიის ორგანიზაციულ და შეერთებულ ძალებს ჩვენი მთავრობისა. და ხალხის შეერთებული ძალა წარმოვუყენოთ. ეს შემეცნება კატეგორიულად გვიკრძალავს დაქსაქსვას, გვიკრძალავს ისეთს მისწრაფებათ, რაიც დეზორგანიზაციისკენ წაგვიყვანს. დეზორგანიზაცია, თუნდაც დროებითი, ამ მძიმე მომენტში, ისეთს უფსკრულთან მიგვიყვანს, საიდანაც გამობრუნება და ხსნა შეუძლებელი გახდება, მას ვერაფრით გამოვისყიდით, ვერც თუ რითიმე შევასწორებთ“.

პროსვიტა და კოოპერაცია

III

(იხ. „საქართველო“ № 63 და 68).

წინა ორ წერილში აღვნიშნეთ ის მრავალფერი სასარგებლო მოღვაწეობა, რომელიც გაჩაღდა გალიციაში „პროსვიტას“ წყალობით, მის მფარველობით და ხელმძღვანელობით. ამ წერილში გვსურს გამოვარკვიოთ კოოპერატიულ მოღვაწეთა კანტიგენტი, რომელთაც კოოპერატიული მოძრაობა სამშობლოს მხსნელ მოძრაობად აღვიარეს და სიხარულით და გულმოდგინებითაც მიჰყვეს მას ხელი. რას არ გააკეთებს შეერთებული ძალა!.. მგლის ხროვამ ხეს შეჰყმუვლა და გახმაო... გალიციის კოოპერატიულ მოღვაწეთ პოლონელებისაგან და ებრაელებისაგან გამოფიტულ და გასახმობად გამზადებულ ეროვნულ ხეს კვლავ აღუდგინეს მძლავრი წვენის დენა და იხილეს მისი დიდებულად გაფურჩქვნა. დიდი ხნის ლოდინი როდი დასჭირდათ ერის ამ ერთგულ და გულშემატკივარ ადამიანებს.

კიევის კოოპერატიულ გამოფენაზე ლვოვის (გალიციაშია) „კომიტეტ ვისტავოვომ“ კოოპერატიულების ტაბლიცა გამოგზავნა იმის შესახებ, თუ რამდენი და რა მდგომარეობაშია კოოპერაციები 1911—12 წლისთვის. ორი ათასობით, ათასობით და ასობით ითვლება იქ სხვა და სხვა გვარი კოოპერატიულები; ათ მილიონობით, მილიონობით და ნახევარ მილიონ კრონებით ითვლება მათი ქონება-ვაჭრობა. „რიცხვი კოოპერატიულებისა და რაოდენობა მათი თანხებისა ნათლად გვიჩვენებენო, სწერს ი. „კოოპერაციის უწყებებში“, თუ რა გაუკეთებია გალიციის ინტელიგენციას თავის ხალხისთვის სულ რაღაც ორი წლის განმავლობაშიო“... საგულისხმიეროა ერთი პაწია კოოპერაციის ისტორია. 8 ქრისტიშობისთვეს 1883 წელს ქ. ლვოვში „ბირმენსკაი ვულიცი“-ზე პირველად გაიღო მომხმარებელი მაღაზია ჩვენებურად 500 მანეთზე ცოტა რამ ნეტი თანხით. 1885 წელს „ნაროდნა ტორგოვლია“-ს, ასე ეძახდნენ გალიციელები ამ მაღაზიას, ლვოვში მაღაზიის გარდა, ჰქონდა სამი ფილიარული განყოფილება, რომლებშიაც ვაჭრობა იყო 309,345,20 კრ.; წევრებად იყვნენ 382 კაცი, მათი პაიები უდრიდა 27,872 კრონს...

ჩვენზე ზედგამოჭრილი დახასიათებაა მოყვანილი ამავე ჟურნალში ბ. ი—მიერ: „ჯერ ეხლაც, სწერს იგი, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ჩვენს ხალხს ცოდოთ, სხვის საქმედ მიაჩნიაო, 30 წლის წინედ ხომ უკრაინელ სოვდაგრის სახსენებელიც თითქმის არსად იყოვო; ვაჭრობის შესახებ კიდევ სრულებითაც ჩქამი არავის დაუძრავსო. ვაჭრობისადმი ასეთი მოპყრობის ნავსი გალიციაში გასტეხა სწორედ ზემოყვანილმა „ნაროდნა ტორგოვლის“ დაარსებამ 1893 წ. განსხვავება ჩვენსა და გალიჩანების შორის მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ ცოდოდ კი არა, სამარცხვინოდ მიგვაჩნდა ვაჭრობა წინახანებში და იქნებ დღესაც დიდი ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა ამ აზრისავეა!..

მერე ვინ არიან გალიციაში ასეთი ხალხის საჭიროების მეურნე ადამიანები? გარდა იმ პატივცემულ მიტროპოლიტა. შეპტიცკისა, რომლის შესახებ სიტყვა წინა წერილებში იყო, საუკეთესო შვილნი გალიციისა მოვალედ ჰხდიან თავიანთ თავს უმველონ ხალხს კოოპერატივებში მუშაობით. 1909 წ. სტრიაში სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იყო; ამ გამოფენაზე 1908 წ. ოლესკოში დაარსებულმა სამეურნეო საზოგადოებამ საჩქარო საერთო კრება მოახდინა, შესცვალა წესდება შესაფერისად, ამოირჩია ახალი გამგეობა და მოქმედების ფართო პროგრამა დაიხატა წინ. ამ საზოგადოებას სათავეში უდგება გამოჩენილი პიროვნება, პარლამენტის დეპუტატი უფლებათა დოქტორი ე. ოლესნიცკი. ამ ხანისთვის პარლამენტის უკრაინელმა ფრაქციამ თავი გაიტანა და დაარსებინა განსაკუთრებითი ფონდი მეურნეობის გაუმჯობესობისთვის. ამის წყალობით „სილსკი გასპადარმა“, როგორც უკრაინელ დაწესებულებათა წარმომადგენელმა 9 წლის განმავლობაში ყოველწლივ იღო მთავრობისაგან 133,333 კრონი“.

ჯერეთ კიდევ ამ საზოგადოების წინ საზოგადოების წევრებმა და ზოგიერთმა პარლამენტის დეპარტამენტმა განსაკუთრებითი ინტენსიურ მოღვაწეობას მიჰყვეს ხელი: რამოდენიმე თვის განმავლობაში 39 მაზრა შემოიარეს, 71 ფილიარული განყოფილება დაიარსეს, რამოდენიმე ათასი ახალი წევრი ჩასწერეს და საზოგადოდ მოამზადეს სოფლად წრეების დაარსებისათვის ნიადაგი“ (კოოპერ. უწ. № 5). ნეტა როდის ვეღირსებით ჩვენც ასეთ დეპუტატებს!.. ჭიანჭველას რომ ფრთები შეესხმება, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო, ცაში ფრენას მოინდომებს და უსათუოდ დაიღუპებაო. მაგრამ განა დეპუტატების გარდა ინტელიგენტები არ უნდა გამონახულიყვნენ აქნობამდინ ჩვენშიც, რათა კოოპერატივები აეყვავებინათ!.. სად არიან ჩვენი შეპტიცკები, მალეცკები და ოლესნიცკები?.. რატომ თავიანთ გაელენით, ავტორიტეტით არ სარგებლობენ ასეთნი ჩვენშიც და სახსარით თავში არ ჩაუდგებიან მძლავრ კოოპერატიულ მოძრაობას; მათ ევალებათ იმ ნავსის გატეხვა, რომლის შემდეგაც გალიციელები სრულ უფლებიან ადამიანებად იქცნენ და ცხოვრებას თვით მოეჭცნენ ზურგზე.

ჩვენში უბრალო ჩინოვნიკს რომ სთხოვო კოოპერატივში გადმოსვლა, იუკადრისებს; იტალიის მინისტრმა ლუცატიმ კი ორჯელ მიანება მინისტრის პორტფელს თავი და კოოპერატორობა ამჯობინა. გერმანიის მთავრობის დღევანდელ გამარჯვებაში იქაურ კოოპერატივებს დიდ როლს აძლევენ. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც იქაურმა კოოპერატივებმა დიდი ხანია დევიზად დაიდეს—ისე უზრუნველ ჰყონ თავიანთი მოსამსახურეები, რომ სახელმწიფო უწყების ჩინოვნიკებისთვის სახარბიელოდ გავხადოთ და ამით საუკეთესო მათგანნი გადმოვიბიროთო. ასეც მოხდა და ნაყოფსაც ისინივე მოიმკიან ჩვენს თვალწინ.

დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა უფრო მეტად, ვიდრე წინა ხანებში, გვეწევა კოოპერატიულ მოღვაწეობისკენ. პროვინციამ გაიღვიძა, დაარსა რამოდენიმე ათეული სხვა და სხვა გვარი კოოპერატივები. აქ კი, თბილისში, სადაც პირველი და სამაგალითო კოოპერატივები უნდა ყოფილიყო, ჯერაც არ მოგვეპოვება არც ერთი. სად, თუ არ თბილისში შეგვეძლო მოგვეწყო კოოპერატივები! დადურაღულ კამეჩივით, ყველა ამ ჩვენ დედა-ქალაქისკენ იწევს... ეკედლება რაიმე დაწესებულებას და ჩხირკედელა საქმიანობით იჩლუნგებს ერისადმი სამსახურის სურვილს და ნიჭს.

რამდენი პატიოსან მოღვაწის შოვნა შეგვეძლო, რამდენი დიდებული ნიჭის გაფურჩქვნას ვიხილავდით ჩვენ დაბეჩავებულ ერის საკეთილდღეოდ, რომ გალიციის ინტელიგენციის მაგალითი დღე მუდამ თვალწინ გვქონიყო და გვეარსებინა კოოპერატივები.

„პროტექციონიზმმა, რომელმაც ხელად მიჰკერძა პოლონურ ორგანიზაციებს, უკრაინელებს დაანახვა, რომ პოლონელების მართლმოყვარეების იმედი კოოპერაციებში მეტად საეშვო იყო.—ეს შეგნება იყო ერთ მთავარ მიზეზთაგანი, რომ უკრაინელების უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული საკუთარ ორგანიზაციების დაარსებისკენო“...

ჩვენმა მდგომარეობამ თბილისში და საზოგადოდ თბილისის გუბერნიაში დიდი ხანია უნდა შეიტანოს ჩვენშიც ის შეგნება, რომ ხსნა საექსპლოატაციოდ მოზღვავებულ გარეშე ძალთა წინააღმდეგ საკუთარ კოოპერატიულ ორგანიზაციებშია, მაგრამ სდუმს ჩვენი ინტელიგენცია და სხვა ელემენტს კი ბევრს ვერაფერს მოვსთხოვთ ამ დარგში.

ლ. ცაგარელი.

გ. პლეხანოვის წერილი

გაზეთ „რეჩში“ მოთავსებულია რუსეთის სოციალდემოკრატიის მამამთავრის გ. პლეხანოვის წერილი მიმართული ბ-ნ ბურიანოვისადმი. წერილს დიდი საზოგადოებრივი ინტერესი აქვს წმინდა რუსულის თვალსაზრისით. მოგვყავს ეს წერილი:

„ჟენევა, 21 ივლისი.
(ახ. სტ.) 1915 წ.

ძვირფასო ამხანაგო!

გწერ ამ წერილს, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ იგი პეტროგრადს ჩაგისწრებს. რომ არ ჩაგისწროს, იმედი მაქვს გადაგეგზავნება საცა იქმნები. აი საქმე რაშია.

მოახლოვდა სახელმ. სათათბიროს მოწვევის დრო. არამც თუ განსაკუთრებულია არამედ პირდაპირ **კრიტიკულია** ის გარემო, რა გარემოშიაც ხდება ეს მოწვევა. შეიძლება ითქვას, ჩვენი რუსეთი ასეთ ყოფაში არ ყოფილა მე-XVII საუკუნის დასაწყისის არეულობის აქეთ. რუსეთმა თავის უკანასკნელი ძალღონე უნდა მოიკრიფოს თავის დასაცავად და შეშმარიტად ღრმად სამწუხარო იქნება, რომ ჩვენმა თანამოაზრეებმა, რომელიმე მოუფიქრებელის ნაბიჯით, ხელი შეუშალონ რუსის ხალხის თავდაცვის საქმეს.

გერმანიამ რომ რუსეთს კისერზე ღვლეჭი შემოუჭიროს, პირველ ყოვლისო, ამისგან დაშავდება რუსის პროლეტარიატი და საზოგადოთ რუსის მშრომელი მასა. ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ არც თქვენ და არც თქვენს ამხანაგებს დეპუტატ სოციალდემოკრატებს არ შეგეძლებათ სახელ. სათათბიროში ხმა არ მისცეთ სამხედრო კრედიტს.

თქვენ თქვენი შენიშვნა გაუკეთეთ, ეს აუცილებელია, მაგრამ კენჭი კრედიტის **სასარგებლოდ** უნდა მიიღოთ. ხმის მიცემა კრედიტის **წინააღმდეგ ღალატი** იქნებოდა (ხალხის წინაშე), ხოლო **თავის შეკავება** ხმის მიცემისაგან **სილაჩრე** იქნებოდა, **მხარი დაუჭირეთ** კრედიტს!

წაუკითხეთ ეს ჩემი წერილი ამხანაგ ჩხეიძეს და უთხარით, რომ ვაფიცებ მას მის წმიდათა წმიდას ყურადღებით მოეპყრას ამ ჩემ წერილს.

მომესმა, რომ იგი შედის, თუ ჯერ კიდევ არ შესულა, თავდაცვის დამხმარე კომიტეტში. თუ ეს მართალია, აუწყეთ, რომ სულით და გულით ვულოცავ ამ ნაბიჯს და ამ შემთხვევაში გირჩევთ თქვენც მიბაძოთ ჩხეიძის მაგალითს. მაპატიეთ, რომ ამ რჩევას გაძლევთ, მაშინ როდესაც თქვენ ჩემგან არავითარი რჩევა არ გითხოვნიათ.

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ეხლა განსაკუთრებული დროა.

გახსოვდეთ ძვირფასო ამხანაგო, რომ დღეს **შეუძლებელია** კაცი **წინააღმდეგი** იყოს სახალხო თავდაცვისა.

იმედი მაქვს, მომწერთ: „ეს ჩვენ უთქვენოდაც ვიცითო“. რომ იცოდეთ, როგორ გამახარებს, თქვენი ასეთი მოძახილი. იგი დამარწმუნებს იმაში, რომ ჩემს მეგობრებს შეუგვნიათ დღევანდელი მდგომარეობა. გთხოვთ, თუ თქვენ ჩემი თანახმა ხართ, სხვა ამხანაგებთან მოლაპარაკების შემდეგ, დეპეშით მაცნობოთ:

Soyez tranquile (არხეინად იყავითო)“.

სხვა რამეში რომ ასე კარგად ბაძვენ ჩვენი თანამემამულე სოციალდემოკრატები ძმ. პლეხანოვებს, ნეტამც სამშობლოს სიყვარულშიაც და თავდაცვაშიაც წაბაძავდენ!

რუსეთის ცხოვრება

მოსკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტი. მოსკოვის უნივერსიტეტმა თანამშრომლობის წადილი განუცხადა სამხ.-სამრეწველო კომიტეტს, თვის სამეცნიერო ძალებითა და საკუთარი ლაბორატორიებით. სამხ.-სამრეწველო კომიტეტმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის საბჭოს და კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიიპატიჟა უნივერსიტეტის პროფესორები.

ტატიანას კომიტეტი. გამოქცეულთა მოსახმარად ყოველთვიურად გადადებული აქვს ხსენებულ კომიტეტს 4,581,396 მ. ამ ფულიდან პოლონელთა ორგანიზაციას მიეცემა თვიურად 325,000 მ., ლატიშებისას—27,500 მ., ლიტველებს—285.500 მ.; ებრაელებს—56,000 მ. კომიტეტის განყოფილებებს რუს გამოქცეულებისათვის—2,000,000 მ.; გუბერნატორების განკარგულებაში გადავა 75000 მ., კავკასიის გამოქცეულებს მიეცემა 200,000 მ., ხოლო გამოქცეულ სომხებისათვის კათალიკოსის განკარგულებაში 50,000 მ.

რუსეთის საქმიანობა. როძიანკომ ხარკოვში სამთო-მრეწველობის წარმომადგენელთ სხვათა შორის რუსულ საქმიანობის დამახასიათებელი სიტყვა უთხრა: „მრეწველობაზედ მე დიდს იმედებს ვამყარებდი, თქვენ კი დღემდე სულ ლაპარაკობთ და ჩხუბობთ. მთელ სამხრეთს ჯერ-ჯეროზით არც ერთი შრაპნელი არ გაუკეთებია. ასევე ხდება მოსკოვში და პეტროგრადში“. (რ. ს.)

არეულობა მოსკოვში. 14 სექტემბერს, მოსკოვში ენების მოედანზე დიდი არეულობა დატრიალდა, არც თუ ისე დიდი მიზეზის გამო. ქალაქის დარაჯებმა დაიჭირეს ერთი მთვრალი, რომელმაც ჯარის კაცს სიტყვით შეურაცყოფა მიაყენა. ხალხი ჩაერია საქმეში და მოითხოვა დაპატიმრებულის განთავისუფლება. გაიმართა მიწევ-მოწევა, ყვირილი პოლიციასა და დიდძალ თავ მოყრილ ბრბოს შორის. მღელვარება თან და თან იზრდებოდა. ქალაქის უფროსმა (გრადონაჩალნიკმა ენერგიული ზომები მიიღო და როგორც იყო ეს არეულობა ჩაანელეს. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

ჩვენი ცხოვრება

დ. ჩხარი (ზემო იმერეთი), გაშენებულია ერთ პატარა მთის ძირას. იგი შესანიშნავია როგორც ადგილ-მდებარეობის სიტურფით, ისე ძველი დროის ნაშთებით. სხვა მრავალთა შორის აქ არის შესანიშნავი ერთი უძველესი შენობა, რომლის შესახებ ხალხს არავითარი გადმოცემა არ მოეპოვება, მხოლოდ იციან კი, რომ იგი ძველ დროშია აგებული. აქ არსებობს ორი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, სადაც სწავლობს დაახლოებით ორასამდე ორივე სქესის მოსწავლე, აგრედვე არსებობს ერთი წიგნსაცავ-სამკითხველო, რომელიც სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ერთი რომ სამკითხველო დიდად უხერხულ ადგილზეა გადატანილი და მერმედ შიგნით ვერც-ერთ ახალ გაზეთს ვერ იპოვით. იპოვით მხოლოდ ორი-სამი კვირის გაზეთს, რომლის წაკითხვაზე კაცს გული არ მიუდის.

როგორც ვიცით, აქ არსებობს ფოსტის განყოფილება, რომელშიაც არაა შესაფერისი წესრიგი დაცული, რის გამოც ხშირად იკარგება გაზეთები და წერილები. მოვა ი.თუ არა ფოჩტა, ყველა მას ეხვევა გარშემო და უკვირდებიან წერილებს, და ზოგიც პირდაპირ ოთახში შედის, სადაც ფოსტალიონი წერილებს აწყობს დასარიგებლად, და ურევს ამ დაწყობილ წერილებს.

დასასრულ ვიტყვით ჩვენ აქაურ მცხოვრებლებს, რომ ჩვენ ქალაქში თითქმის ყველგან ქუჩებშიც და ფოსტამიც კარგი წესრიგი დაიცვან. უმთავრესი ყურადღება კი სამკითხველოს მიაქციონ, რადგან სამკითხველო შეადგენს ერთად-ერთ კულტურულ წყაროს ყველა ხალხისათვის, საიდანაც მათ შეუძლიანთ მიიღონ განვითარება და გაეცნონ ახლო-მახლო სოფლების ავ-კარგს. დააარსონ იგი თვალსაჩინო ადგილზე, სადაც ხალხს შეეძლება თავისუფლად მისვლა და გაზეთების გადაკითხვა. აგრედვე თხოვნით მივმართავ აქაურ სცენის მოსიყვარულეებს გამართონ ხოლმე წარმოდგენები ამ სამკითხველოს სასარგებლოდ და მით ხელი შეუწყონ მის (გამდიდრება-გაუმჯობესობას) როგორც წიგნებით, ისე ჟურნალ-გაზეთებით.

შალვა რუფოთელი.

დეპეშები

პარიზი, 16 სექტ. მთელ დღის განმავლობაში ბრძოლაა გაჩაღებული სუშესა და ვიმის მწვერვალებს შუა. ფრანგებმა შეინარჩუნეს ყველა პოზიციები. შამპანში პოზიციების წინ მძაფრი ბრძოლა არ შეწყვეტილა.

ჰავრი, 15 სექტ. ბელგიის ფრონტზე მხოლოდ უმნიშვნელო საარტილერიო სროლა იყო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ გარემოებას: ვაჟა-ფშაველას დამკრძალავ კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში სხვათა შორის შემდეგი ამოვიკითხეთ: „მგალობელთა გუნდს 80 მან.“ რაკი ზემოხსენებულ კომიტეტს არ დაუსახელებია, თუ რომელ მგალობელთა გუნდს მისცა რვა თუმანი, ამის გამო როგორც გუნდის წევრების აგრედვე პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ „თბ. მომღერალ-მგალობელთა გუნდს“, დაარსებულს მიხეილ კავსაძის მიერ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ვაჟას დაკრძალვაში არავითარი სასყიდელი არ მიუღია დამკრძალავ კომიტეტისაგან.

გუნდის გამგეობა.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან . . .	12 ს. 54 წ.	დღ.
№ 4	ბათომიდან . .	5 ს. 55 წ.	საღ.
№ 5	ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ.	საღ.
№ 10	ბათომიდან. .	9 ს. 51 წ.	დილ.
	ჯულფიდან .	6 ს. 53 წ.	დილ.
	ბორჯომიდან .	7 ს. 25 წ.	დილ.
	„ საავგარ.	10 ს. 28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ . .	1 ს. 45 წ.	დღ.
№ 4	ბაქოსკენ . .	7 ს. 3 წ.	საღ.
№ 6	ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ.	დღ.
№ 9	ბათომისკენ . .	8 ს. 05 წ.	საღ.
	ჯულფისკენ .	10 ს. 23 წ.	საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ.	დღ.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგვნელოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილთ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სანდრო ცენზორისაგან